# ხსნის გეგმა



## რა არის ხსნის გეგმა?

ხსნის გეგმა* არის ღმერთის მიერ მისი შვილებისათვის მომზადებული ბედნიერების გეგმა. ის ეფუძნება იესო ქრისტეს გამოსყიდვას. თუ თქვენ მიჰყვებით იესო ქრისტეს სწავლებებს, ამ ცხოვრებაში ჰპოვებთ მტკიცე შინაგან სიმშვიდეს და მარადიულ სიხარულს გარდაცვალების შემდეგ.

როდესაც ხსნის გეგმის შესწავლას დაიწყებთ, თქვენ იპოვით პასუხებს შემდეგ შეკითხვებზე: „საიდან მოვდივარ?“ „რა არის ჩემი ცხოვრების მიზანი?“ „სად წავალ ამ ცხოვრების მერე?“

## საიდან მოვდივარ?

თქვენი ცხოვრება არ დაწყებულა დაბადებისას და არც სიკვდილით არ დამთავრდება. თქვენ ხართ შექმნილი, როგორც სულიერი სხეული (ხანდახან მოიხსენიება როგორც სული) და ფიზიკური სხეული. მამაზეციერმა შექმნა თქვენი სული და თქვენ მასთან ცხოვრობდით სანამ დაიბადებოდით დედამიწაზე. თქვენ მას სცნობდით და გიყვარდათ. ცხოვრების ამ პერიოდს ჰქვია წინამიწიერი ცხოვრება.

> *„ხსნის გეგმა მომზადებული იყო მსოფლიოს შექმნიდანვე, ქრისტეს მეშვეობით, ყველასათვის, ვინც კი მის სახელს იწამებს.“*
>
> **ალმა 22:13**

თქვენი წინამიწიერი ცხოვრების დროს, თქვენ სწავლობდით იმ მოძღვრებებს და მცნებებს, რომლებიც მიგიყვანდათ ბედნიერებისაკენ. თქვენი ცოდნა იზრდებოდა და სწავლობდით ჭეშმარიტების სიყვარულის. თქვენ ისწავლეთ ხსნის გეგმის შესახებ. ამ წინამიწიერი ცხოვრების დროს იესო ქრისტე მხსნელად იქნა ამორჩეული, თქვენ ისწავლეთ, რომ მისი წყალობით გადალახავთ არასწორად გაკეთებული არჩევანის შედეგებს.

ღმერთის გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია თქვენი დედამიწაზე გაჩენა, იმისათვის, რომ მიიღოთ ფიზიკური სხეული და ისწავლოთ სწორი არჩევანის გაკეთება. თქვენ არ გახსოვთ მამაზეციერთან ერთად ცხოვრების დრო, მაგრამ მან მოგანიჭათ შესაძლებლობა, რომ შესძლოთ კარგის ცუდისაგან გარჩევა,

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია 18 და 19 გვედრებზე.

***მამაზეციერის გეგმაში ცენტრალური როლი უკავია ოჯახს.***





იცნოთ სიყვარული და ჭეშმარიტება. თქვენი მიწიერი გამოცდილებით და წინააღმდეგობებით, ისწავლით ყოველთვის სწორი არჩევანის გაკეთებას. როდესაც თქვენი ცხოვრება დამთავრდება დედამიწაზე, იესო ქრისტეს დახმარებით, შესძლებთ დაუბრუნდეთ მამაზეციერს, რათა მასთან იცხოვროთ.

თქვენი წინამიწიერი ცხოვრების დროს, თქვენ ისწავლეთ, რომ მხოლოდ ღმერთის გეგმის მიხედვით მივიღებთ მარადიულ მშვიდობას და ბედნიერებას ამ ცხოვრებაში და სამარადისოდ. რადგან მამაზეციერს უყვარხართ, მან მოგცათ არჩევანის თავისუფლება, ანუ არჩევანის გაკეთების ძალაუფლება. მან მოგცათ არჩევანი მიჰყვებით თუ არა მის და მაცხოვარის გეგმას.

*მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ გახსოვთ, სანამ მოხვიდოდით ამ დედამიწაზე, თქვენ ცხოვრობდით ღმერთთან, მარადიულ მამასთან და მისი ძე იესო ქრისტესთან. როდესაც მოგეცათ დედამიწაზე მოსვლის და ფიზიკური სხეულის მიღების პრივილეგია, თქვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.*

სატანა არის ღმერთის ერთერთი სულიერი შვილი, რომელიც აუჯანყდა მამაზეციერს და არ მიიღო მისი გეგმა. მას უნდოდა, რომ გვეკეთებინა ის, რაც მას სურდა. სამწუხაროდ, მრავალ მამაზეციერის შვილებმა აირჩიეს, რომ გაჰყოლოდნენ სატანას. სატანა და მისი მიმდევრები განდევნილები იქნენ მამაზეციერისგან და არ მიეცათ იმის შესაძლებლობა, რომ მიიღონ ფიზიკური სხეული. ისინი აგრძელებენ არსებობას, როგორც სულები. ისინი არიან უბედურები და უნდათ, რომ თქვენც უბედური იყოთ. ისინი გაცდუნებენ ისე, როგორც ყველა ღმერთის შვილებს, რომ გააკეთოთ ისეთი რამ, რაც მოიტანს უბედურებას და იქნება ღმერთის ნების წინააღმდეგ.

წინამიწიერ ცხოვრებაში თქვენ აირჩიეთ, რომ გქონოდათ მაცხოვარის რწმენა და მიჰყოლოდით ღმერთის გეგმას. თქვენი არჩევანის გამო, თქვენ გაჩნდით დედამიწაზე. მხოლოდ ასეთივე არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, თქვენ მოიპოვებთ მშვიდობას ამ ცხოვრებაში და დაუბრუნდებით მამაზეციერს, რომ იცხოვროთ მასთან, როდესაც დამთავრდება თქვენი ამქვეყნიური ცხოვრება.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია 18 და 19 გვედრებზე.

***ჩვენ უნდა ბევრი ვისწავლოთ და გამოვცადოთ მიწიერი ცხოვრების განმავლობაში.***

## რა არის ჩემი ცხოვრების მიზანი?

### შექმნა და დაცემა

დედამიწა შეიქმნა, როგორც ადგილი, სადაც მამაზეციერის შვილები მიიღებდნენ გამოცდილებას. ადამი და ევა იყვნენ პირველი ღმერთის შვილები, რომლებიც მოევლინენ დედამიწას. მათი საცხოვრებელი ადგილი იყო ედემის ბაღი, სადაც ადამი და ევა ჯერ კიდევ ღმერთის გარემოცვაში იყვნენ.

მამაზეციერმა ადამ და ევას, მისცა თავისუფალი არჩევანის საშუალება და უბრძანა, რომ არ ეჭამათ აკრძალული ხის ნაყოფი, ხილი, რომლითაც ისინი შეიცნობდნენ ბოროტს და კეთილს. მათ ეს მცნება რომ დაეცვათ, დარჩებოდნენ ედემის ბაღში, მაგრამ ამის გამო ვერ განვითარდებოდნენ, გაჭირვების და წინააღმდეგობების გარეშე ვერაფერს ისწავლიდნენ. სატანამ აცდუნა ისინი, რომ ეგემათ აკრძალული ხილი და მათ გააკეთეს არჩევანი, რომ ასე გაეკეთებინათ. ეს იყო ღმერთის გეგმის ნაწილი. მათი გადაწყვეტილების შედეგად, ადამი და ევა განდევნილები იქნენ ღმერთის გარემოცვიდან, ფიზიკურად და სულიერად. ისინი გახდნენ მოკვდავნი, რაც ნიშნავს, რომ მათზე გავლენა ჰქონდა ცოდვას და სიკვდილს. მათ აღარ შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ მამაზეციერთან მისი დახმარების გარეშე. ადამის და ევას, ღმერთისაგან სულიერ და ფიზიკურ განცალკავებას ეწოდება დაცემა.

მამაზეციერმა ადამი და ევასთან მიავლინა ანგელოზები და სულიწმინდა, რომ მათ ესწავლებინათ ხსნის გეგმის შესახებ. ამ გეგმის მთავარი ნაწილია იესო ქრისტეს გამოსყიდვა, რომელიც აძლევს ღმერთის შვილებს შესაძლებლობას, გადალახონ დაცემის შედეგები, იქონიონ ბედნიერება და სიხარული ამ ცხოვრებაში და სამარადისოდ.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია 18 და 19 გვედრებზე.

*„ადამს რომ არ დაერღვია ღმერთის ბრძანება, ის არ დაეცემოდა, მაგრამ დარჩებოდა ედემის ბაღში . . .*

*„და (ადამს და ევას) არ ეყოლებოდათ შვილები და ამიტომაც, დარჩებოდნენ უცოდველნი, იქნებოდნენ სიხარულის გარეშე, რადგან არ ეცოდინებოდათ რა არის გაჭირვება, კარგს ვერ გააკეთებდნენ, რადგან არ იცოდნენ თუ რა არის ცოდვა.*

*„მაგრამ, აჰა, ყველაფერი გაკეთდა იმის სიბრძნით, რომელმაც იცოდა ყველაფერი.*

*„ადამი დაეცა, რომ ყოფილიყო ადამიანი და კაცობრიობა არსებობს, რომ იქონიოს სიხარული.“*

**2 ნეფი 2:22–25**



## თქვენი ცხოვრება დედამიწაზე

ადამის დაცემის შედეგად, თქვენ ხართ ღმერთისაგან გაცილებული ფიზიკურად და სულიერად. ეს დაცილება იყო ღმერთის მიერ, მისი შვილებისათვის მომზადებული გეგმის ნაწილი. მისგან განცალკავების მიზანი იყო ის, რომ მოსულიყავით დედამიწაზე, მიგეღოთ ფიზიკური სხეული, გამოცდილება და სწორი არჩევანის გაკეთების სწავლა.

> *„მე შვილი ვარ ღვთისა*
> *მან აქ გამომიშვა*
> *მარგუნა მიწიერი ოჯახი*
> *მშობლები და ბინა*
> *გამიძეხ და გამიკვალე,*
> *გზა საკვალი მე.*
> *მასწავლე და დამეხმარე*
> *რომ შევურიგდე ღმერთს.“*
>
> ***ჰიმნები*, 301**

ცხოვრებაში ბევრ რამეს მოაქვს ბედნიერება, ზოგს კი დარდი. მიღებული გამოცდილება დაგეხმარებათ, კეთილის ბოროტისაგან გარჩევაში და სწორი არჩევანის გაკეთებაში. ღმერთი შთაგაგონებთ, რომ აკეთოთ სიკეთე და მიჰყვეთ მას, ამავე დროს სატანა ცდილობს გაცდუნოთ, რომ უგულვებელყოთ ღმერთი და ცოდვა ჩაიდინოთ. (ცოდვა ნიშნავს განზრახ ცუდის კეთებას ან არასწორად ქცევას.) როდესაც ირჩევთ ღმერთის მიყოლას და მისი მცნებების დაცვას, მაშინ გაიზრდებით სიბრძნით და კარგი ხასიათით. გაჭირვების ჟამსაც კი შეძლებთ იგრძნოთ სიხარული და გადალახავთ ცხოვრების სირთულეებს მშვიდი სულით.

ცხოვრებაში თქვენ გააკეთეთ ბევრი კარგი არჩევანი, მაგრამ გაკეთებული გაქვთ ბევრი არასწორიც. როდესაც აკეთებთ არასწორ არჩევანს და სცოდავთ, თქვენ შესაბამისად შორდებით ღმერთს. ამ დაშორებას წმინდა წერილებში უწოდებენ სულიერ სიკვდილს. ასეთ დაშორებას ღმერთისაგან, ცოდვას, ასევე მოაქვს დანაშაულის და სირცხვილის გრძნობა. თქვენ თავისით ვერ გადალახავთ ცოდვას და მის შედეგებს.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია 18 და 19 გვედრებზე.

## იესო ქრისტეს გამოსყიდვა

რადგან მამაზეციერს უყვარხართ, მან მოავლინა მისი ძე, იესო ქრისტე, რომ გამოესყიდა თქვენი ცოდვები. ეს იყო იესო ქრისტეს მიერ გამოსყიდვის ნაწილი. მაცხოვარი ნებაყოფილობით დაიტანჯა თქვენი ცოდვებისათვის, ტკივილისათვის და დარდისათვის. მისი მადლით და მოწყალებით, მას შეუძლია დაგეხმაროთ გაჭირვებაში და შეგიმსუბუქოთ დანაშაულის გრძნობისაგან და სირცხვილისაგან, რაც თქვენი ცოდვებით არის გამოწვეული.

*„რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.“*

**იოანე 3:16**

ცოდვების გამოსყიდვით იესომ არ წაგართვათ თავისუფალი არჩევანი ან პირადი პასუხისმგებლობა. ის ვერ განგწმინდავთ თქვენი სურვილის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ მიიღოთ მაცხოვარის დახმარება და ძალა, უნდა გააღრმავოთ მასში რწმენა, მოინანიოთ, მოინათლოთ, მიიღოთ სულიწმინდა და აირჩიოთ მისი სწავლების მიმდევრად ყოფნა მთელი ცხოვრების მანძილზე. როდესაც თქვენ დაეყრდნობით გამოსყიდვას, იგრძნობთ ღმერთის სიყვარულს და ის დაგეხმარებათ წინააღმდეგობების გადალახვაში, ის მოგცემთ სიხარულს, მშვიდობას და ნუგეშს. ყველაფერი, რაც შეიძლება იყოს ცხოვრებაში უსამართლო, შეიძლება გამოსწორდეს იესო ქრისტეს გამოსყიდვით, ასევე მამაზეციერის მოწყალებით და სიყვარულით. ხსნის გეგმაში მთავარი ადგილი უკავია გამოსყიდვას.

## სად წავალ ამ ცხოვრების შემდეგ?

მიწიერი თვალთახრისით, ფიზიკური სიკვდილი შეიძლება დასასრულად მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ეს არის მხოლოდ დასაწყისი, მამაზეციერის გეგმისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯი. გარდაცვალებისას, თქვენი სული დატოვებს სხეულს და წავა სულების სამყაროში, სადაც არის ადგილი სწავლისათვის და მომზადებისათვის. სულების სამყაროში

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია 18 და 19 გვედრებზე.

***მხსნელი დაიტანჯა ჩვენი ცოდვებისათვის გეტსემანიის ბაღში.***



*სიკვდილის დროს თქვენი სული დატოვებს სხეულს და წავა სულების სამყაროში, ადგილი, სადაც ისწავლით, მოემზადებით და დაისვენებთ დარდებისაგან და საზრუნავისაგან.*

თქვენი ამ ცხოვრებისეული მოგონებები დარჩება თქვენთან.

სიკვდილი ვერ შეცვლის თქვენ პიროვნებას და სიკეთის ან ბოროტების კეთების სურვილს. თუ თქვენ მიწიერი სიცოცხლის დროს აირჩევთ ქრისტესთვის მიყოლას, თქვენ მოიპოვებთ მშვიდობას სულიერ სამყაროში და დასვენებული იქნებით საზრუნავისაგან. ისინი, ვინც აირჩევენ იმას, რომ არ გაჰყვნენ იესო ქრისტეს და არ მოინანიონ, იქნებიან უბედურნი.

მამაზეციერმა იცოდა, რომ მის მრავალ შვილს, ცხოვრების მანძილზე არასდროს არ ექნებოდა შესაძლებლობა გაეგო იესო ქრისტეს შესახებ და ზოგი აირჩევდა, რომ არ გაჰყოლოდა მას. რადგან მას უყვარს თავისი შვილები, ღმერთმა მათაც მისცა საშუალება, რომ შეისწავლონ ხსნის გეგმა, იქონიონ რწმენა იესო ქრისტეში და მოინანიონ. ისინი, ვინც მიიღებენ იესო ქრისტეს და გაჰყვებიან მას, მიიღებენ მშვიდობას და სიმშვიდეს.

## აღდგომა და განკითხვა

ერთერთი ყველაზე დიდი ძღვენი, რომელიც ღმერთმა მოგვცა, ეს არის აღდგომა, რომელიც არის შესაძლებელი იესო ქრისტეს გამოსყიდვით. როდესაც იესო ჯვარზე გარდაიცვალა, მისი სული წავიდა სულების სამყაროში. სამი დღის შემდეგ, მისი სული გაერთიანდა მის აღმსდგარ გაბრწყინებულ, სრულყოფილ სხეულთან, რომელიც მეტი აღარასოდეს აღარ მოკვდებოდა. სხეულის და სულის ამ ხელახლა გაერთიანებას ეწოდება *აღდგომა.* ყველა ვინც დაიბადა დედამიწაზე, აღსდგება.

როდესაც აღსდგებით, თქვენ წარსდგებით ღმერთის წინაშე და განსჯილი იქნებით თქვენი საქმეების და გულის საწადელის მიხედვით.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია 18 და 19 გვედრებზე.

***ამოსდგარი მხსნელი გამოეცხადა მარიამს.***



## დიდების სასუფევლები

განსჯის შემდეგ, თქვენ იცხოვრებთ დიდების სამეფოში. ვინაიდან ადამიანების საქმეები და სურვილები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ ზეცაში არის სხვადასხვა დიდების სასუფევლები.

**ცელესტიალური სასუფეველი.** მამაზეციერი და იესო ქრისტე იმყოფებიან ცელესტიალურ სასუფეველში. თუ თქვენ იცხოვ-რებთ იესო ქრისტეს სახარების მიხედვით და განიწმინდებით ცოდვებისგან მაცხოვარის გამოსყიდვით, თქვენ მიიღებთ სასუფეველს ამ უმაღლეს სამეფოში. თქვენ იცხოვრებთ ღმერთთან და შეიცნობთ ნამდვილ სიხარულს.

**ტერესტრიალური სასუფეველი.** ადამიანები, რომლებიც არ მიიღებენ იესო ქრისტეს სახარებას, მაგრამ იცხოვრებენ საპატიო ცხოვრებით, მიიღებენ სასუფეველს ტერესტრიალურ სამეფოში.

**ტელესტიალური სასუფეველი.** ისინი, რომლებიც გააგრძელებენ ცოდვილ ცხოვრებას და არ მოინანიებენ, მიიღებენ ადგილს ტელესტიალურ სასუფეველში.

**იესო ქრისტეს გამოსყიდვა იძლევა ხსნის საშუალებას.**

**წინამიწიერი ცხოვრება** | **მიწიერი ცხოვრება**

შექმნა და დაცემა

იესო ქრისტეს რწმენა
მონანიება
ნათლობა
სულიწმინდის ძღვენი
ბოლომდე გაძლება

ფიზიკური სიკვდილი

## რას ნიშნავს ეს გეგმა ჩემთვის?

როდესაც თქვენ გაიაზრებთ, რომ ღმერთი არის თქვენი მამა, რომ მას უყვარხართ და მან მოგცათ საშუალება, რომ აქ მიიღოთ გამოცდილება და ცოდნა იმისათვის, რათა ამ ცხოვრების შემდეგ გახდეთ მისნაირი, თქვენ მიხვდებით თქვენი გადაწყვეტილებების მნიშვნელობას ამ ცხოვრების განმავლობაში. მიხვდებით, რომ უნდა გაჰყვეთ იესო ქრისტეს იმისათვის, რომ მიიღოთ მამაზეციერის გეგმის ყველა კურთხევები.



## როგორ გავიგოთ?

იესო ქრისტეს სახარების აღდგენის შედეგად იოსებ სმითის მიერ უფრო დიდი ცოდნა იქნა მიღებული ხსნის გეგმის შესახებ.

თქვენ შეგიძლიათ თქვენით გაიგოთ არის თუ არა ეს ჭეშმარიტი, თუ ლოცვისას შეეკითხებით ამას მამაზეციერს. ის თქვენ გიპასუხებთ სულიწმინდის მეშვეობით, რომელსაც ასევე უწოდებენ ღმერთის სულს. სულიწმინდა მოწმობს და ადასტურებს ჭეშმარიტებას, გრძნობებით, ფიქრებით და შთაბეჭდილებებით. გრძნობები, რომლებსაც განვიცდით სულიწმინდით, არიან ძლიერი, მაგრამ როგორც წესი, ისინი არიან წყნარი და ჩუმი. ისე, როგორც ნათქვამია ბიბლიაში, „ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება“ (გალატელთა 5:22–23). მიღებული გრძნობები არის იმის მოწმობა, რომ ეს მოწოდება არის ჭეშმარიტი. ამის შემდეგ თქვენ უნდა აირჩიოთ იცხოვრებთ თუ არა იესო ქრისტეს სწავლებებთან ჰარმონიაში ისე, როგორც ისინი იქნა აღდგენილი იოსებ სმითის მიერ.

*როგორ უნდა ვილოცო?*

- *მიმართეთ მამაზეციერს.*
- *გამოხატეთ თქვენი გულის გრძნობები (მადლიერება, დაუსვით შეკითხვა მორმონის წიგნის ჭეშმარიტების შესახებ და იმაზე, რაც მისიონერებმა გასწავლეს).*
- *ლოცვა დაასრულეთ („იესო ქრისტეს სახელით, ამინ“).*

***თქვენ გაიგებთ ჭეშმარიტებას გულწრფელი ლოცვით.***



## ტერმინების სია

**აღდგომა** ფიზიკური სიკვდილის შემდეგ, სულის და სრულყოფილი ფიზიკური სხეულის გაერთიანება, ხორცით და ძვლებით. იესო ქრისტე იყო პირველი, ვინც აღსდგა. აღსდგომის შემდეგ, სული და ფიზიკური სხეული აღარასდროს აღარ იქნებიან ერთმანეთისაგან დაცილებული და პიროვნება ცოცხლობს სამუდამოდ. გამოსყიდვის გამო ყველა აღსდგება ვინც ცხოვრობდა.

**გამოსყიდვა** მოვლენა, რითაც მოგვეცა ღმერთთან შერიგების შესაძლებლობა. გამოსყიდვა ნიშნავს ცოდვის საზღაურად ტანჯვას, რითაც ცოდვილებს შეუძლიათ განთავისუფლდნენ ცოდვის სასჯელისგან. იესო ქრისტე იყო ერთადერთი ვისაც შეეძლო სრულყოფილად გამოესყიდა მთელი კაცობრიობის ცოდვები. გამოსყიდვა მოიცავს ჩვენი ცოდვებისათვის მის მიერ ჯვარზე გადატანილ ტანჯვას, დაღვრილ სისხლს და აღდგომას. მისი აღდგომის შედეგად, ყველა ადამიანი აღდგება, ვისაც ოდესმე უცოცხლია. გამოსყიდვა ასევე გვაძლევს ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვების შენდობის გზას და მამაზეციერთან მარადიულად ყოფნის საშუალებას.

**დაცემა** მოვლენა, რის გამოც კაცობრიობა გახდა მოკვდავი. ამან გამოიწვია ღმერთისაგან სულიერი და ფიზიკური განცალკავება. ვინაიდან ადამმა და ევამ, პირველმა ადამიანებმა, დაარღვიეს ღმერთის მცნებანი, ისინი განდევნილები იყვნენ ღმერთის გარემოცვიდან (ამ განცალკავებას ეწოდება სულიერი სიკვდილი) და ამით ისინი გახდნენ ფიზიკურად მოკვდავნი. როგორც ადამის და ევას შთამომავლები, ჩვენც დაშორებულები ვართ ღმერთისაგან და ვართ ფიზიკური სიკვდილით მოკვდავები. იესო ქრისტეს გამოსყიდვა სძლევს ორივეს, ფიზიკურს და სულიერ სიკვდილს.

**თავისუფალი არჩევანი** ღმერთისაგან ნაბოძები ძღვენი, რათა ავირჩიოთ კეთილს და ბოროტს, ასევე სწორს და არასწორს შორის.

**მადლი** იესო ქრისტეს მოწყალებით და სიყვარულით მიღებული ღვთიური დახმარება და ძალა. მისი მადლი გახდა შესაძლებელი მისი გამოსყიდვით და ამით ყველა ადამიანები აღდგებიან. მისი მადლით ისინი, ვინც მოინანიებენ და იცხოვრებენ მისი სახარების მიხედვით, იგრძნობენ მამაზეციერის მუდმივ სიახლოვეს ამ ცხოვრებაში და იქნებიან მასთან ამ ცხოვრების შემდეგ.

**საეკლესიო წესჩვეულებანი** მღვდლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ ჩატარებული საღმრთო, საეკლესიო წესჩვეულება, მაგალითად ნათლობა, სულიწმინდის ძღვენის

მიღება და ზიარება. ეს წესჩვეულებები ხშირად ნიშნავს ღმერთთან აღთქმების დადებას.

**სულების სამყარო** ადგილი, სადაც ჩვენი სულები იქნებიან სიკვდილს და აღდგომას შორის. ისინი, ვინც ცხოვრობდნენ პატიოსანი ცხოვრებით, სულების სამყარო იქნება მათთვის ბედნიერებით და მშვიდობით სავსე ადგილი.

**სული** პიროვნების ნაწილი რომელიც დაბადებამდე ცხოვრობდა მამაზეციერთან. მიწიერი ცხოვრების დროს სული ერთიანდება ფიზიკურ სხეულთან. სიკვდილის შემდეგ სული აგრძელებს სიცოცხლეს.

**სულიერი სიკვდილი** ღმერთისგან დაშორება, მისი მცნებების უარყოფის შედეგად. იესო ქრისტეს გამოსყიდვამ ჩვენ გვიხსნა სულიერი სიკვდილისაგან, თუ ცოდვებს მოვინანიებთ და ვიცხოვრებთ მისი მცნებებით.

**ფიზიკური სიკვდილი** სულის და მოკვდავი სხეულისაგან განცალკავება. როდესაც ფიზიკური სხეული გარდაიცვლება, სული აგრძელებს სიცოცხლეს სულების სამყაროში. ჩვენ გადავლახავთ ფიზიკურ სიკვდილს, აღდგომის მეშვეობით, რომელიც გახდა შესაძლებელი იესო ქრისტეს გამოსყიდვით.

**წინამიწიერი ცხოვრება** ჩვენი ცხოვრება სანამ დავიბადებოდით დედამიწაზე. ჩვენს წინამიწიერ ცხოვრებისას, ჩვენ ვცხოვრობდით მამაზეციერთან, როგორც მისი შვილები. ჩვენ არ გვქონდა ფიზიკური სხეულები.

**ხსნა** ცოდვისაგან და სიკვდილისაგან განთავისუფლება. ხსნა გახდა შესაძლებელი იესო ქრისტეს გამოსყიდვის გამო. იესო ქრისტეს აღდგომის მეშვეობით, ყველა ადამიანი გადალახავს სიკვდილს. ჩვენც შეგვიძლია გადავლახოთ ცოდვის შედეგები, იესო ქრისტეს რწმენით. ამ რწმენას ცხოვრებაში ვიჩენთ მონანიებით, სახარების კანონების და წესჩვეულებებისადმი მორჩილებით და ქრისტესადმი სამსახურით.

**ხსნის გეგმა** მამაზეციერის გეგმა, რომელიც გვაძლევს საშუალებას, რომ გავხდეთ ისეთები, როგორიც არის ის, და ვიყოთ სიხარულით აღსავსენი. ეს გეგმა ეყრდნობა იესო ქრისტეს გამოსყიდვას და მოიცავს სახარების ყველა მცნებებს, წესჩვეულებებს და სწავლებებებს.

## დამატებითი სამეცადინო მასალა

ქვევით მოყვანილი კითხვები და წმინდა წერილები დაგეხმარებათ ამ ბროშურაში მოცემული პრინციპების გააზრებაში და უფრო ღრმად შესწავლაში. სიაში მოყვანილი მასალები არ არის საკითხის სრული, წმინდა წერილებში მოყვანილი შენიშვნები და მითითებები მოგცემთ დამატებით სასწავლო მასალას.

**როგორი იყო თქვენი ურთიერთობა ღმერთთან სანამ დაიბადებოდით?**

იერემია 1:5 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

ებრაელთა 12:9 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

**რა არის დაცემა? რატომ იყო ეს აუცილებელი?**

2 ნეფი 2:14–26 (მორმონის წიგნი, გვერდები 58–59)

ალმა 42:2–9 (მორმონის წიგნი, გვერდები 311–12)

**რა არის თქვენი ცხოვრების მიზანი დედამიწაზე? როგორ გავლენას იქონიებს ეს ცოდნა თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ყოველ დღე?**

2 ნეფი 2:25–27 (მორმონის წიგნი, გვერდი 59)

ალმა 34:32 (მორმონის წიგნი, გვერდი 295)

**რა არის გამოსყიდვა? როგორ დაგეხმარებათ ის თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

იოანე 3:16–17 (ბიბლია, ახალი აღთქმა)
რომაელთა 3:23–25 (ბიბლია, ახალი აღთქმა)
2 ნეფი 2:6–8 (მორმონის წიგნი, გვერდი 57)
ალმა 7:11–12 (მორმონის წიგნი, გვერდი 225)
ალმა 42:22–23 (მორმონის წიგნი, გვერდები 312–13)

**რა არის სულების სამყარო? იქ რა ხდება?**

1 პეტრე 4:6 (ბიბლია, ახალი აღთქმა)
ალმა 40:11–14 (მორმონის წიგნი, გვერდი 308)

**რას ნიშნავს აღდგომა? ვინ აღსდგება? რატომ არის აღდგომა მნიშვნელოვანი?**

2 ნეფი 9:13–15 (მორმონის წიგნი, გვერდები 73–74)
ალმა 11:42–45 (მორმონის წიგნი, გვერდები 236–37)

**რა არის ზეცა? რატომ არსებობს დიდების სხვადასხვა სამეფოები?**

1 კორინთიელთა 15:40–43 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

# ეცით თაყვან ღმერთს ჩვენთან ერთად

## მოდით და ნახეთ თუ როგორ დალოცავს თქვენ ცხოვრებას აღდგენილი სახარება



ზიარების შეკრება არის ღმერთის თაყვანისაცემი მთავარი საეკლესიო სამსახური. როგორც წესი, ის გრძელდება ერთ საათზე ცოტა მეტი და მიმდინარეობს შემდეგნაირად:

*საგალობლები:* საგალობლებს მღერიან ზიარებაზე დამსწრენი (საგალობლების წიგნები არის დარბაზში)

*ლოცვები:* ლოცვებს ამბობენ ადგილობრივი ეკლესიის წევრები.

*ზიარება:* იესო ქრისტეს გამოსყიდვის მოსახსენიებლად, პური და წყალი, კურთხევის შემდეგ ჩამოერიგებათ ზიარების დამსწრეებს.

*სიტყვით გამომსვლელები:* როგორც წესი, სამრევლოდან ერთი ან ორი ეკლესიის წევრი სიტყვით გამოდის სახარების თემაზე.

*ჩაცმულობა:* მამაკაცები და ბიჭები, უმთავრესად ჩაცმულები არიან შარვალ–კოსტუმში თეთრი პერანგით და ჰალსტუხით. ქალები და გოგოები ჩაცმულები არიან კაბებში.

ზიარების დროს შემოწირულობების შეწირვა არ მოითხოვება.

ჩვენ ასევე გეპატიჟებით, რომ დაესწროთ დამატებით შეკრებებს, თქვენი ინტერესების და ასაკის მიხედვით. ამ შეკრებების თანმიმდევრობა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი.

*საკვირაო სკოლა:* სამეცადინო კლასი, სადაც ტარდება წმინდა წერილების და სახარების მოძღვრებების შესწავლა.

*მღვდლობის შეკრებები:* სამეცადინო კლასი მამაკაცებისათვის და ბიჭებისთვის 12 წლიდან.

*მოწყალების საზოგადოება:* სამეცადინო კლასი ქალებისთვის და გოგოებისთვის 18 წელს ზევით.

*ახალგაზრდა ქალები:* სამეცადინო კლასი გოგონებისთვის 12 წლიდან 18 წლამდე.

*საბავშვო დამწყები კლასი:* ჯგუფები და სამეცადინო კლასი 3წლიდან 11 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ხშირად ხელმისაწვდომია საბავშვო ოთახი 18 თვიდან 3 წლამდე.



ზიარების შეკრების დრო:____________________

ეკლესიის მისამართი:____________________




# რა უნდა გავაკეთო?

- წაიკითხეთ მორმონის წიგნი.
  წასაკითხი მასალა: ______________________
  ______________________
  ______________________

- ილოცეთ იმისათვის, რათა გაიგოთ, რომ მისიონერები გასწავლიან ჭეშმარიტებას.

- იარეთ ეკლესიაში.

- მოემზადეთ ნათლობისათვის ______________________

- ეწვიეთ ვებგვერდს www.mormon.org რათა უფრო მეტი გაიგოთ მამაზეციერის გეგმის შესახებ მისი შვილებისათვის.

- გააგრძელეთ შეხვედრები მისიონერებთან იმისათვის, რომ ისწავლოთ უფრო მეტი ჭეშმარიტებაზე, რომელიც ღმერთმა აღადგინა თანამედროვე წინასწარმეტყველების მეშვეობით.

  შემდეგი შეხვედრა: ______________________

  მისიონერის სახელი და ტელეფონის ნომერი:
  ______________________
  ______________________

უკანასკნელი დღეების
წმინდანთა
იესო ქრისტეს
ეკლესია

www.mormon.org

სურათების მონაცემები
ყდაზე გამოსახულია: დეტალი დეილ პარსონის ნახატიდან იგი აღსდა. © დეილ პარსონი.
ასლის გადაღება არ შეიძლება.
გვერდი 11: დეტალი ჰარი ანდერსონის ნახატიდან ქრისტე გესეცემანიის ბაღში
გვერდი 13: იგი აღსდგა, გრეგ ოლსენი. © გრეგ ოლსენი. ასლის გადაღება არ შეიძლება
გვერდები 4, 22, 23 Marina Lukach მიერ

© 2011 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია აშშ–ში.
ინგლისურად დამტკიცებულია: 11/05. თარგმანი დამტკიცებულია: 11/05.
თარგმანი *The Plan of Salvation.* Georgian. 01133 131

GEORGIAN
4 02011 33131 7
01133 131